ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

№ HCG/241 8.19

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია
ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 21
0160, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 474747

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის 14 აგვისტოს N 8072/01 წერილის საპასუხოდ წარმოგიდგენთ მოთხოვნილ ინფორმაციას და გთხოვთ განაახლოთ 2019 წლის 25 ივლისის N 10780 სკრინინგის განცხადების ადმინისტრაციული წარმოება.

საწარმოო ტერიტორიის აღწერა

GPS კოორდინატები	X= 451692; Y= 4640826.
მანძილი (წვის დანადგარის მილიდან) უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	343 მ.
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ცემენტის წარმოება
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ცემენტი, კლინკერი
საპროექტო წარმადობა	კლინკერი 945000ტ.
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	315
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	7560

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 12338
27 " 08 2019
4/1 ფ.
+ 02 + სოფლისაგან



მანძილი წვის დანადგარი მილიდან უახლოეს მოსახლემდე.

გამომდინარე იქედან, რომ დაგეგმილი ცვლილებების შედეგად ჯამური ემისიების ცვლილება უმნიშვნელოა (განმარტებულია სკრინინგის განცხადებაში), შესაძლო კუმულაციური ზემოქმედება არ განიხილება.

დაგეგმილი ცვლილება არ ითვალისწინებს ცვლილებას ტექნოლოგიურ პროცესში, არ იცვლება წარმოებაში გამოყენებული წვის დანადგარი, რომელიც არის 4.3 მ დიამეტრის და 62 მ სიგრძის მბრუნავი ღუმელი. დაწვრილებითი ინფორმაცია არსებული წვის დანადგარზე მითითებულია კასპის ცემენტის საწარმოს მოქმედ გზშ დოკუმენტში.

ასევე უცვლელია საწარმოს წარმადობა, რომელიც არის - მაქსიმალური 3000 ტ კლინკერი დღე-ღამეში. სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში არის 315, საამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში კი - 7560.

ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი წვის პროდუქტების საახეებისა და რაოდენობის შესახებ.

ალტერნატიული საწვავის წვის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერების დასახელება, ტონა	მაქსიმალური წლიური ემისია (ტონა/წელიწადი)
მყარი ნაწილაკები, PM	0.0195455
აზოტის ოქსიდები, Nox	0.06402
ნახშირბადის ოქსიდი, CO	0.009894
გოგირდის ოქსიდები, SOx	0.291
ტყვია, Pb	0.0002425
კადმიუმი, Cd	0.00000097
დარიშხანი, As	0.00001455
ქრომი, Cr	0.0001455
ნიკელი, Ni	0.000291
ფენოლი	0.0140165
დიქლორბენზოლი	0.000005

დაგეგმილი ცვლილება არ ითვალისწინებს ცვლილებებს ტექნოლოგიურ პროცესში, ასევე ცვლილება ემისიების თვალსაზრისით უმნიშვნელოა (განმარტებულია სკრინინგის განცხადებაში), შესაბამისად საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების არსებითი ზრდა მოსალოდნელი არ არის. მცირედით იზრდება მხოლოდ ზეთის დაღვრით გამოწვეული გრუნტის დაბინძურების რიკსი საწარმოს ტერიტორიის შიდა მონაკვეთზე, რომელზეც ჰუმუსოვანი ფენა არ ფიქსირდება. ამ რისკების მინიმიზიისათვის კასპის ცემენტის საწარმოს არსებულ გზშ დოკუმენტში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიება ზეთით დაბინძურებული უბნის გაწმენდაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ყველა ამ შემთხვევისათვის ნიადაგის დაბინძურების სხვა შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა და დაუშვებელია აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა. მოგმართავთ თხოვნით

დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის ან ადმინისტრაციული წარმოების დამატებითი ვადით შეჩერების შემთხვევაში დაასაბუთოთ აღნიშნული მოთხოვნა საკანონმდებლო ნორმის მითითებით.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის მენეჯერი,
გიორგი ჩალაძე

დანართები: გიორგი ჩალაძის მინდობილობა